



სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის

ბრძანება N 29-18

2018 წლის 31 მაისი

თბილისი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“, „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა 2017-2018“, „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა 2017-2018“, „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2016-2017“, „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2017-2018“, „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2017-2018“ და „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის N303 დადგენილების დანართი N1 და დანართი N2 დამტკიცებული „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამების ფარგლებში გრანტის მფლობელთა მიერ მომდევნო აკადემიური წლისათვის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და განაცხადების მიღების ვადის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის, „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №201 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N180/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,



ვბრძანებ:

1. „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“ და „საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2016“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 26 აპრილის N10-16 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“ , „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N14-17 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018“, „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2017-2018“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N15-17 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები 2017-2018“, „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2017-2018“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 28 აპრილის N16-17 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2017-2018“, „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2017-2018“ დამტკიცების შესახებ“ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 25 იანვრის N3-17 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის - „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2017-2018“ და „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის N303 დადგენილების დანართი N1 და დანართი N2 დამტკიცებული „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამების შესაბამისად, დამტკიცდეს აღნიშნული სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში გრანტის მფლობელთა მიერ მომდევნო აკადემიური წლისათვის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N1-ის სახით.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული პროგრამების მომდევნო აკადემიური წლისათვის დაფინანსების მოთხოვნის შესახებ განაცხადის მიღების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით (19:00 სთ-მდე თბილისის დროით).
3. განაცხადების წარდგენა მოხდეს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში <https://app.iec.gov.ge/>, ელექტრონული განაცხადის ფორმის შევსებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის გზით, ამ ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.
4. ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში განაცხადის შევსებისას ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. დოკუმენტები აგრეთვე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზე. სხვა უცხოურ ენაზე შედგენილი დოკუმენტი განიხილება ქართულ ენაზე სანოტარო წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად.
5. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში გრანტის მფლობელთა მიერ მომდევნო აკადემიური წლისთვის დაფინანსების გაგრძელების შესახებ

გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის ადმასრულებელი დირექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამის საკონკურსო კომისია.

6. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო/საბაკალავრო პროგრამებზე გრანტის მფლობელთა მომდევნო აკადემიური წლისთვის დაფინანსების გაგრძელების საკითხი განიხილება მხოლოდ პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობის ფარგლებში. დამატებითი სემესტრი/აკადემიური წელი არ ფინანსდება. სადოქტორო პროგრამაზე დაფინანსებულ გრანტის მფლობელთა მომდევნო აკადემიური წლისთვის დაფინანსების გაგრძელების საკითხი განიხილება პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობის + 1 დამატებითი წლის ფარგლებში.

7. განაცხადების მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე IEC.GOV.GE.

8. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6.) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმასრულებელი დირექტორი


ნინო ჭელიძე



სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების - „საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2016-2017“, „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა 2017-2018“, „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა 2017-2018“, „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2016-2017“, „საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები 2017-2018“, „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2017-2018“ და „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის N303 დადგენილების დანართი N1 და დანართი N2 დამტკიცებული „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პროგრამების ფარგლებში გრანტის მფლობელთა მიერ მომდევნო აკადემიური წლისათვის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის/პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
2. CV/რეზიუმე;
3. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ აკადემიური პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობის, სტუდენტის სწავლის დაწყებისა და დასრულების პერიოდის მითითებით;
4. გასული წლის შეფასების ოფიციალური ფურცელი საშუალო ჯამური ქულის მითითებით გასულ წელს გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ქულობრივი შეფასების სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დოქტორანტებისთვის - განვლილ სასწავლო წელს დაგეგმილი აკადემიური სამუშაოს შესრულების ოფიციალური შეფასება დაგეგმილი აკადემიური სამუშაოების აღწერით;
5. შეფასების ოფიციალურ ფურცელში საშუალო ქულის/ქულის განმარტების მიუთითებლობის შემთხვევაში ცნობა სასწავლებლიდან განვლილი წლის შეფასების საშუალო ქულისა ან/და მისი განმარტების შესახებ (სასწავლების მიერ გაცემულ ოფიციალურ ცნობაში ქულის განმარტების მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა უმაღლესი განათლების შეფასების სისტემების შესაბამისობის დადგენის თაობაზე);
6. ერთი რეკომენდაცია (რეკომენდაციის წარმოდგენა ხდება კონკურსანტის მიერ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში მითითებული რეკომენდატორის მიერ ამავე სისტემაში განთავსებული კითხვარის შევსების გზით);
7. დოკუმენტი სწავლის საფასურის შესახებ;
8. სტატუს რეპორტი (სტატუს რეპორტის შედგენისას, სტიპენდიანტისთვის მნიშვნელოვანი თემატიკის გარდა, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია 2017-2018 აკადემიურ წელს განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი აქტივობისა და მოპოვებული წარმატების შესახებ).